ევროკავშირი
საქართველოსთვის

საქართველოს
სახალხო დამცველი

unicef
for every child

ბავშვების ეკონომიკური საქმიანობა და ბავშვთა შრომა

შრომა თუ ეკონომიკური საქმიანობა?

ბავშვის ეკონომიკური საქმიანობა - ბავშვის ისეთ ადგილას მუშაობა და ისეთი საქმის შესრულება, რომელიც უარყოფითად არ მოქმედებს მის ჯანმრთელობაზე, გონებრივ განვითარებაზე და არ აზიანებს ბავშვს.

„ბავშვის შრომა" - არის ისეთი საქმე, რომელიც ზიანს აყენებს ბავშვის ჯანმრთელობას, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას, ხელს უშლის სწავლაში, დასვენებაში. ხშირად, ასეთ დროს, ბავშვები ვეღარ ახერხებენ ან იშვიათად ახერხებენ სკოლაში სიარულს.

რას ნიშნავს ბავშვის შრომითი უფლება

საქართველოში ბავშვის შრომით უფლებებს იცავს საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც არის ჭეშმარიტი უმაღესი კანონი. ბავშვის შრომის უფლებებს ასევე იცავს **ბავშვის უფლებათა კოდექსი** და **შრომის კოდექსი**. შრომის კოდექსი არის კანონი, სადაც წერია, რა უფლებები აქვთ ადამიანებს სამსახურში და რა წესები უნდა დაიცვან მუშაობის დროს.

შრომის კოდექსი ამბობს:

14 წლამდე ასაკის ბავშვები მხოლოდ ისეთ სფეროში შეიძლება საქმიანობდნენ, რომელიც **სპორტთან, ხელოვნებასთან, კულტურასთან ან სარეკლამო საქმიანობასთან** არის დაკავშირებული. ეს საქმიანობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა აყენებდეს ბავშვს ზიანს.

მაგალითად, ბავშვს შეუძლია სპორტულ შეჯიბრში მონაწილეობა და წარმატებულად თამაშისას ჯილდოს მიღება, ან მუსიკალურ კონკურსში მონაწილეობა და წარმატების შემთხვევაში, ფულადი პრიზის მიიღება.

14-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის, მუშაობა ასევე დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმიანობა მათ არ აზიანებთ, ხელს არ უშლით სკოლაში სიარულში, სწავლასა და დასვენებაში.

იმისათვის, რათა ბავშვმა, რომელიც ჯერ 16 წლის არ არის, შეძლოს რომელიმე სფეროში საქმიანობა, საჭიროა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

ხოლო ბავშვს სხვადასხვა მიზეზების გამო არ ჰყავს მშობლები, მას სახელმწიფო უნიშნავს ზრდასრულ მზრუნველ პირს. ეს ადამიანი შეიძლება იყოს ოჯახის ნათესავი, სრულწლოვანი და ან ძმა, ბებია, ბაბუა ან სოციალური მუშაკი.

სამუშაო დრო

14-დან 16 წლამდე ბავშვები არ უნდა მუშაობდნენ დღეში 4 საათზე, ხოლო კვირაში, ჯამში, 24 საათზე მეტს.

16-დან 18 წლამდე ბავშვები არ უნდა მუშაობდნენ დღეში 6 საათზე, ხოლო კვირაში, ჯამში, 36 საათზე მეტს.

აკრძალულია ამაზე მეტი დროით ბავშვის მუშაობა.

აკრძალულია ბავშვის მუშაობა სწავლის საათებში და ღამით. ეს იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება, ბავშვი მუშაობდეს იმ საათებში, როცა სკოლა აქვს და გაკვეთილებს უნდა ესწრებოდეს, ან დღის იმ მონაკვეთში, როცა უნდა ისვენებდეს და ეძინოს.

სად არ შეიძლება ბავშვი მუშაობდეს?

- ღამის გასართობ დაწესებულებაში, სათამაშო ბიზნესში ან/და აზარტულ თამაშებში;
- იქ, სადაც ამზადებენ, ყიდიან ან ინახავენ წამლებს და მომწამვლელ ნივთიერებებს;
- მძიმე, მავნე და საშიშ სამუშაოზე, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბავშვის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და განვითარებას. მაგალითად, მშენებლობაზე ან მაღაროში.
- იქ, სადაც ამზადებენ, ინახავენ ან ყიდიან ალკოჰოლს ან/და თამბაქოს;
- ისეთ გარემოსა და პირობებში, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას. მაგალითად, ასრულებს რთულ და მძიმე სამუშაოს, მძიმე ტვირთის ზიდვა უწევს, სიცივეში ან მზეზე დიდი ხნით უწევს ყოფნა.
- აკრძალულია ბავშვების ისეთ საქმიანობაში ჩართვა, როგორიცაა მოწყალების თხოვნა, წვრილმანი ნივთებით გარეთ ვაჭრობა, ჯართის შეგროვება და სხვ.

გახსოვდეს:

თუ ბავშვი მუშაობს, სამუშაო დრო არ უნდა ემთხვეოდეს გაკვეთილების პერიოდს. თუ სკოლამ იცის, რომ ბავშვი გაკვეთილებზე ყოფნის ნაცვლად მუშაობს, აუცილებლად უნდა შეატყობინოს სოციალურ მუშაკს.

სოციალური მუშაკი მუშაობს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში. ის შეისწავლის, დაცულია თუ არა ბავშვის უფლებები და უსაფრთხოება, რა პირობებში ცხოვრობს ბავშვი, ხომ არ სჭირდება რაიმე. მისი ვალდებულებაა, რომ ბავშვს შეუქმნას უსაფრთხო გარემო, რათა არავინ და არაფერმა დააზიანოს.

თუ ბავშვმა გადაწყვიტა მუშაობის დაწყება, მაშინ:

შეუძლია, ვისთანაც იწყებს მუშაობას, მოსთხოვოს **შრომითი, სამუშაო პირობების შესახებ შეთანხმების წერილობითი გაფორმება.**

თუ ბავშვმა სადმე ერთ თვეზე მეტი ხნით უნდა იმუშაოს, მაშინ წერილობით შეთანხმება აუცილებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვი და ის, ვისთანაც ბავშვი უნდა დასაქმდეს, წერილობით უნდა შეთანხმდნენ, რა საქმიანობას შეასრულებს ბავშვი, რომელ დღეებში და რამდენი საათით იმუშავებს, რომელ საათზე და რამდენი ხნით შეისვენებს, რამდენი დღე შეუძლია დასვენება, რამდენს გადაუხდიან ამ სამუშაოსთვის და როდის.

გახსოვდეს, **უფლება გაქვს, დღეში ერთი საათი შეისვენო.** ასევე, შეგიძლია, შვებულების უფლებით ისარგებლო, რაც იმას ნიშნავს, რომ **წელიწადში 24 სამუშაო დღე**, შეგიძლია, არ იმუშაო, მაგრამ ამ დროს ხელფასს მაინც გადაგიხდიან. ხელფასის გარეშე კი წელიწადში სულ ცოტა 15 დღე შეიძლება დასვენება.

შვებულების მოთხოვნა სამსახურის დაწყებიდან 11 თვის შემდეგ შეიძლება. მაგრამ თუ ბავშვი და მისი სამსახური შეთანხმდებიან, შვებულების გამოყენება უფრო ადრეც შეიძლება.

უარი შვებულებაზე დაუშვებელია! !

სამუშაო ადგილზე დაცული უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესი - თუ ბავშვი მუშაობას დაიწყებს, სამუშაოზე დაცული უნდა იყოს მისი ჯანმრთელობა და სიცოცხლე; ბავშვი დაცული უნდა იყოს ნებისმიერი ძალადობისგან; სამუშაომ ხელი არ უნდა შეუშალოს ბავშვის განვითარებას.

ბავშვს აქვს უფლება, ჰქონდეს თავისუფალი დრო, როდესაც დაისვენებს, გაერთობა და განვითარდება. ეს აუცილებლად გახსოვდეს, რადგან დაუშვებელია ბავშვების დასვენების გარეშე მუშაობა, ისეთ პირობებში, როცა არ აქვთ დასვენების, განვითარების, სწავლის, მეგობრებთან ურთიერთობის დრო.

ასევე გახსოვდეს, რომ ქვეყანა, სადაც შენ ცხოვრობ, ყველანაირად უნდა დაგეხმაროს, რომ ისწავლო, განვითარდე, ითამაშო. ქვეყანამ უნდა იზრუნოს ბავშვებზე, მუშაობა რომ არ დასჭირდეთ თავიანთი ან ოჯახის სარჩენად. ბავშვებმა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იმუშაონ, როცა ამას თავად გადაწყვეტენ და ეს მათი განვითარებისთვისაც კარგი იქნება.

ქვეყანამ, სადაც ბავშვი ცხოვრობს, ის სიღარიბისგან უნდა დაიცვას, დაეხმაროს მასაც და ოჯახსაც, რომ გაძლიერდნენ.

ვის შეგიძლია მიმართო, თუ მუშაობ, და ფიქრობ, რომ შენი უფლებები ირღვევა?

თუ ის, ვისთანაც მუშაობ, შენს უფლებებს დაარღვევს, რამდენიმე დაწესებულება არსებობს, რომელსაც შეგიძლია, მიმართო:

- **შრომის ინსპექციის სამსახური. ეს სამსახური ამოწმებს იმ ადგილს, სადაც ადამიანები მუშაობენ, ათვალიერებს იქაურობას და შეისწავლის, რა პირობებში შრომობენ ადამიანები. თუ აღმოჩნდება, რომ სამუშაო ადგილზე არღვევენ ადამიანების შრომის უფლებებს, ეს სამსახური მას მისცემს გაფრთხილებას ან დააჯარიმებს ფულადი ჯარიმით.**

  შრომის ინსპექციას შეგიძლია, კონფიდენციალურად მიმართო. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ არ გენდომება, ინსპექცია არ გაუმხელს დამსაქმებელს, რომ შენ მიმართე.

შრომის ინსპექციისთვის მიმართვის სამი მარტივი გზა არსებობს:

- ცხელ ხაზზე დარეკვა: **1575**
- ელ. ფოსტაზე მიწერა: infolio@moh.gov.ge
- მისამართზე მისვლა: თბილისი, მიხეილ თამარაშვილის ქ. 15ა.

- **საქართველოს სახალხო დამცველი - იცავს ყველა ადამიანის უფლებას მთელ ქვეყანაში.**

სახალხო დამცველისთვის მიმართვის სამი მარტივი გზა არსებობს:

- ცხელ ხაზზე დარეკვა: **1481**
- ელ. ფოსტაზე მიწერა: info@pdo.ge. ან
- ფეისბუკის მესენჯერში - OmbudsmanofGeorgia
- მისამართზე მისვლა: საქართველოს სახალხო დამცველს ოფისები აქვს თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მისამართები შეგიძლია ნახო აქ: https://ombudsman.ge/geo/kontaqti

- **სასამართლო - სასამართლოში ადამიანის უფლებების დარღვევებს შეისწავლის მოსამართლე. ის იღებს გადაწყვეტილებას, დაირღვა თუ არა ბავშვის შრომის უფლებები. თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა, იმ დაწესებულებას, რომელმაც ბავშვის შრომის უფლებები დაარღვია, ბავშვისთვის თანხის გადახდას დაავალებს.**

სასამართლოსთვის მიმართვაზე მეტი ინფორმაციის გასაგებად, შეგიძლია,

- ცხელ ხაზზე დარეკო: - **1545** ან
  იხილე ბროშურა ბავშვებისთვის -
  „როგორ მიმართოს სასამართლოს ბავშვმა“.

ბავშვის უფლებებზე მომზადებული
ყველა მასალა შეგიძლია ნახო აქ

საინფორმაციო ბროშურა შეიქმნა სახალხო დამცველის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სახალხო დამცველი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.